



საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის

2020 წლის საქმიანობის შემაჯამებელი ანგარიში

12/20/2020

სამსახურის უფროსი : გია მამაკაიშვილი



„ადგილობრივი თვითმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.ა“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის და „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“-ს 78-ე მუხლის მე-2-ე ნაწილის თანახმად ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 დეკემბრის №32 დადგენილებით ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტი განისაზღვრა 26 211, 6 ათ. ლარით.

2020 წლის III კვარტლის განმავლობაში ბიუჯეტში განხორციელებული ცვლილებებისა და დამატებების შედეგად 2020 წლის ბიუჯეტი ოქტომბრის მდგომარეობით განისაზღვრა **43 917,8** ათ. ლარით:

- 1) გადასახადები (ქონების გადასახადი)- 7 490,0 ათ. ლარი.
- 2) გადასახადები (დღგ-ს სახით) – 13 992,5 ათ. ლარი.
- 3) სხვა შემოსავლები - 2 640,0 ათ. ლარი.
- 4) არაფინანსური აქტივების კლება - 250,0 ათ. ლარი.
- 5) შემოსავალი ნაშთიდან - 5 669,8 ათ. ლარი.
- 6) გრანტები - 13 875,5 ათ. ლარი.

შ ე მ ო ს უ ლ ო ბ ე ბ ი :

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის III კვარტლის შემოსულობებმა 2019 წლის გარდამავალი ნაშთების გარეშე შეადგინა 24 964,6 ათ. ლარი, წლიური გეგმის 65,27 % (წლიური დაზუსტებული გეგმა 38 248,0 ათ. ლარი).

მათ შორის:

- ქონების გასახადის გეგმა 46,36 %-ით (წლიური გეგმა 7 490,0 ათ. ლარი შესრულება 3 472,9 ათ. ლარი) ;
- გადასახადი (დღგ-ს სახით) – გეგმა 68,12 %-ით (წლიური გეგმა 13 992,5 ათ. ლარი შესრულება 9 531,9 ათ. ლარი);
- მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის მოსაკრებელის გეგმა შესრულებულია 60,22 %-ით (წლიური გეგმა 500,0 ათ. ლარი, შესრულება 301,1 ათ. ლარი);
- შემოსავლი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან 26,9 %-ით (წლიური გეგმა 100,0 ათ. ლარი, შესრულება 26,9 ათ. ლარი);
- მოსაკრებელი მშენებლობის დაწყების ნებართვისათვის 175,46 %-ით (გეგმა 150,0 ათ. ლარი, შესრულება 263,25 ათ. ლარი);
- სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი 0 %-ით (გეგმა 120,0 ათ.ლარი, შესრულება 0,0 ათ. ლარი);
- მოსაკრებელი მოსახლეობის ტერიტორიის დასუფთავებისათვის 58,64 %-ით (გეგმა 250,0 ათ. ლარი შესრულება 146,6 ათ. ლარი);

- შემოსავალი ჯარიმებიდან, სანქციებიდან და საურავებიდან 46,47 %-ით (წლიური გეგმა 1 200,0 ათ. ლარი, შესრულება 557,7 ათ. ლარი);
- შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები 43,73 %-ით (წლიური გეგმა 300,0 ათ. ლარი, შესრულება 131,2 ათ. ლარი);
- არაფინანსური აქტივების გაყიდვიდან 41,64 %-ით (წლიური გეგმა 250,0 ათ. ლარი, შესრულება 104,1 ათ. ლარი);

2020 წლის III კვარტლის მდგომარეობით მიღებულია ფინანსური დახმარება (ტრანსფერი) 10 448,0 ათ. ლარი.

გ ა დ ა ს ა ხ დ ე ლ ე ბ ი (ხ ა რ ჯ ე ბ ი)

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტით გადასახდელების გეგმა დაზუსტების შემდეგ შეადგენს **43 917,8** ათ. ლარს. ფაქტიურმა საკასო ხარჯებმა 2020 წლის III კვარტლის მდგომარეობით შეადგინა 27 903,1 ათ. ლარი, წლიური გეგმის 63,53%. მათ შორის:

- წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების ხარჯებმა შეადგინა 3 738,2 ათ. ლარი წლიური გეგმის (გეგმა 5 313,7 ათ. ლარი) 70,35 %;
- ქვეყნის დავდაცვისუნარიანობის ამაღლების დაფინანსებამ შეადგინა 98,5 ათ. ლარი წლიური გეგმის (გეგმა 143,0 ათ. ლარი) 68,88 %;
- ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის დაფინანსებამ შეადგინა 14 072,7 ათ. ლარი, წლიური გეგმის (გეგმა 23 331,4 ათ. ლარი) 60,31 % ;
- დასუფთავება და გარემოს დაცვა - დაფინანსებამ შეადგინა 2 139,1 ათ. ლარი, წლიური გეგმის (გეგმა 2 710,0 ათ.ლარი) 78,93 %;
- საგანმანათლებლო ღონისძიებების დაფინანსებამ შეადგინა 3 648,1 ათ. ლარი, წლიური გეგმის (გეგმა 6 164,4 ათ. ლარი) 59,18 %;
- სპორტული და კულტურული ობიექტების და ღონისძიებების დაფინანსებამ შეადგინა 3 100,7 ათ. ლარი, წლიური გეგმის (გეგმა 4 508,0 ათ. ლარი) 68,78 %;
- სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების დაფინანსებამ შეადგინა 1 204,3 ათ. ლარი, წლიური გეგმის (გეგმა 1 890,3 ათ. ლარი) 63,71 %;

თვითმმართველი ერთეული ოზურგეთის მუნიციპალიტეტის განვითარების ხედვა

2021-2024 წლებში ოზურგეთის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ გადადგმულმა ნაბიჯებმა უნდა

შექმნას საშუალო ვადიან პერიოდში მუნიციპალიტეტის სოციალური და ეკონომიკური განვითარების მყარი საფუძვლები. ამ მიზნის მისაღწევად მუნიციპალიტეტის განვითარების ხედვა ეფუძნება შემდეგ პრინციპებს:

- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბუნებრივად მიმზიდველი გარემოს შენარჩუნება და განვითარება. მისი ტურისტული პოტენციალის მაქსიმალური გამოვლენა, რაც გულისხმობს მიმზიდველი გარემოს შექმნას და ტურიზმის განვითარებით ოზურგეთის მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

- ეფექტურად გაგრძელება ყველა ისეთი საჭირო კომუნიკაციების მშენებლობა რეაბილიტაცია, როგორცაა გზები, გარე განათება, წყალმომარაგება და სხვა. რათა მაქსიმალურად ხელი შეეწყოს ინვესტიციების მოზიდვას და ეკონომიკის განვითარებას.

- განათლება, ახალგაზრდობა და ინოვაცია. განათლებული, მოტივირებული, სამეწარმეო სულისკვეთების მქონე, საკუთარ შესაძლებლობებში დარწმუნებული ახალგაზრდობა გახდება იმ მთავარი შედეგის მომტანი, რომელიც მუნიციპალიტეტს ჩააყენებს განვითარებული და ინოვაციური ეკონომიკის მქონე, როგორც საქართველოს ასევე სხვა ქვეყნის წარმატებულ მუნიციპალიტეტებს შორის.

- როგორც ქვეყნის მთავრობისათვის, ასევე მუნიციპალიტეტშიც ადამიანი და მასზე ზრუნვა იყო, არის და იქნება ჩვენი მთავარი ღირებულება. ამიტომ, გაგრძელება და შეიქმნება ისეთი ახალი პროგრამები, რომელიც სოციალურად დაუცველ მოსახლეობაში გაზრდის ხელმისაწვდომობას სხვადასხვა სახელმწიფო თუ არასახელმწიფო სერვისების მიღებაზე.

მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების, პროგრამების, მათი აღწერის, მოსალოდნელი შედეგებისა და შეფასების ინდიკატორები ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების (BDD) დოკუმენტის შესაბამისად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტის დოკუმენტი წარმოადგენს მუნიციპალიტეტის განვითარების ერთ-ერთ ძირითად დოკუმენტს, რომელიც ასახავს ინფორმაციას საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის შესახებ, ანუ მასში გათვალისწინებულია ძირითადი პრიორიტეტები და მიმართულებები დასაგეგმი და დასაგეგმის შემდგომი სამი წლისათვის. ბოლო წლების მანძილზე ქვეყნის ბიუჯეტის დაგეგმვის პროგრამულ ფორმატზე გადასვლამ განაპირობა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მთავარი საფინანსო დოკუმენტის ახალ, პროგრამულ ჭრილში შედგენა, რაც გულისხმობს შედეგებზე ორიენტირებული ბიუჯეტის დაგეგმვას. პრიორიტეტის დოკუმენტი მომზადებულია ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში იმ პრობლემების გადაწყვეტის მიზნით, რომელიც ყველაზე აქტუალურია მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის.

პრიორიტეტების დოკუმენტი მომზადდა „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ და „პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის

დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 8 ივნისის №385 ბრძანების მოთხოვნათა შესაბამისად.

2021 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვაში აქტიურად იყო ჩართული გურიის მხარის რწმუნებულ-გუბერნატორი, როგორც ადგილზე, ისე საქართველოს ფინანსთა სამინისტროში, რომლის მხრიდანაც გამოთქმული რეკომენდაციები და წინადადებები მაქსიმალურად იქნა გათვალისწინებული საბიუჯეტო პროექტზე მუშაობის დროს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით 2021-2024 წლების ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ძირითადი პრიორიტეტებია:

- ინფრასტრუქტურის განვითარება;
- დასუფთავება და გარემოს დაცვა;
- განათლება;

- კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი;
- ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა;

საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი

გია მამაკაიშვილი